



გ. კ. ჩესტერტონი

მოთხრობები მამა ბრაუნზე

დიდუენეს
ბიბლიოთეკა

გ. კ. ჩესტერტონი
მოთხრობები მამა ბრაუნზე

G. K. CHESTERTON
Father Brown Stories

მთარგმნელი და შემდგენელი ზაზა ქილაძე
რედაქტორი ანა ჭაბაშვილი
სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2298-0210
ISBN 978-9941-11-417-5

www.diogene.ge

სარჩევი

კრებულიდან „მამა ბრაუნის მიამიტობა“

იაგუნდისთვლებიანი ჯვარი	9
უცნაური ნაბიჯები	41
მფრინავი ვარსკვლავები	75
ისრაელ გაუს ღირსება	99
თავად სარადინის ცოდვები	123
უფლის ურო	155
გატეხილი ხმლის ნიშანი	181
სიკვდილის სამი იარაღი	209

კრებულიდან „მამა ბრაუნის სიბრძნე“

არარსებული ბატონი ვარდა	233
ქურდების სამოთხე	257
მენამული პარიკი	283

კრებულიდან „მამა ბრაუნის უნდობლობა“

მამა ბრაუნის მკვდრეთით აღდგომა	305
ძალის სამისნო	333

კრებულიდან „მამა ბრაუნის საიდუმლო“

ორწვერა კაცი	367
--------------------	-----

მოთხრობები
მამა ბრანზე

იაგუნდისთვლებიანი ჯვარი

დილის შუქის ვერცხლისფერ და ზღვის მწვანედ მოციმციმე ორ ზოლს შორის გემი ჰარვიჩს მიადგა და მგზავრები ბუზების გუნდით გადმოსხა ნაპირზე. ის კაცი, ვისაც ჩვენ უნდა გავყვეთ, დანარჩენებისგან არაფრით გამოირჩეოდა და არც რამენაირად შენიღბვის სურვილი ეტყობოდა. განსაკუთრებული მართლა არაფერი ემჩნეოდა, გარდა ერთგვარი შეუსაბამობისა ცოტა არ იყოს მხიარულ ტანსაცმელსა და სახის საქმიან დაძაბულობას შორის. მსუბუქი, ღია ნაცრისფერი ქურთუკი ეცვა, თეთრი ჟილეტი და თავზე ვერცხლისფერი ჩალის ქუდი ეხურა – მუქი ლურჯი ლენტით. ამ ქუდის ფონზე გამხდარი სახე კიდევ უფრო მზემოკიდებული მოუჩანდა, წვერი მოკლედ, ესპანურ ყაიდაზე გაეკრიჭა და ასეთ წვერს წესით ალბათ ელიზაბეტის ეპოქის მრგვალი, პუქპუჭა საყელო უფრო მოუხდებოდა. მოცლილი კაცის სერიოზულობით აბოლებდა სიგარეტს. მთელი მისი იერის შემხედვარე, ვერანაირად იფიქ-

რებდი, რომ რუხი ქურთუკის ქვეშ დატენილ რევოლვერს მალავდა, ჟილეტის შიდა ჯიბეში პოლიციელის მონმოზა ედო და ჩალის ქუდიც მთელს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე გონიერ და გამჭრიახ თავს ამშვენებდა: არადა ეს კაცი თავად ვალანტენი გახლდათ, პარიზის პოლიციის უფროსი და მსოფლიოში უცნობილესი მაძებარი; ბრიუსელიდან ლონდონს ახლაც საუკუნის უდიდესი დამნაშავის დასაპატიმრებლად ჩამოსულიყო.

ფლამბო უკვე ინგლისში იმყოფებოდა. სამი ქვეყნის პოლიციაში, როგორც იქნა, მიაგნო ამ ბუმბერაზი დამნაშავის კვალს. ჯერ გენტიდან ბრიუსელამდე სდია და მერე ბრიუსელიდან ჰოლანდიის ქალაქ ჰუკამდე; როგორც დაასკვნეს, იქიდან ლონდონს მიაშურებდა, სადაც ევქარისტიულ კონგრესზე ჩამოსულ უამრავ ღვთისმსახურს შორის იოლად მოახერხებდა მიმალვასა და მდევართათვის თავგზის აბნევას. სავარაუდოდ, ეკლესიის დაბალი წოდების მავან მსახურად შეინიღებოდა თავადაც, ანდა სულაც მავანი ეპისკოპოსის მდივნად. ასე ფიქრობდა ვალანტენი, თუმცა დარწმუნებული მაინც ვერ იქნებოდა, ანდა როგორ იქნებოდა, როცა საქმე ფლამბოს შეეხებოდა.

არაერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დანაშაულის ამ კორიფემ უეცრად აიღო ხელი ქვეყნიერების გაცემაზე და როცა ეს გადაწყვიტა, დედამინაზე ისეთივე სიმშვიდემ დაისადგურა, როგორც თურმე გმირი როლანდის აღსასრულისას. თუმცა მისთვის უკეთეს დღეებში (ანუ, ცხადია, უარესს ვგულისხმობ) საერთაშორისო დონეზე ფლამბოს პიროვნება არანაკლებ ცნობილი გახლდათ, ვიდრე თვით კაიზერი. ევროპული გაზეთები ლამის ყოველ დილით ამცნობდნენ მკითხველს, როგორ გაქცეოდა ერთი უჩვეულო დანაშაულის გამო სასჯელს, სხვა კიდევ უფრო უცნაურის ჩადენის წყალობით. წარ-

მოშობით გასკონელი იყო. მაღალი, ტანადი და სრულიად უშიშარი. რალას არ ყვებოდნენ ამ გოლიათის ცელქობა-ხუმრობების შესახებ. ერთხელ თურმე ვილაც გამომძიებელი ხელში აუტატებია და თავდაყირა დაუყენებია, ასე ვთქვათ, „გონების დასანმენდად“. სხვა დროს მთელი რივოლის ქუჩა სირბილით ჩაუთავებია ორივე ილღიაში თითო პოლიციელამოჩრილს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ წარმოუდგენელ ძალ-ღონეს ძირითადად სწორედ მსგავსი უსისხლო, თუმცა კი მსხვერპლთათვის დამამცირებელი მიზნებისთვის იყენებდა; რაც შეეხება მის ნამდვილ დანაშაულობებს, ეს უბრალოდ ძალიან გონებამახვილური და თან მსხვილ-მსხვილი ქურდობები გახლდათ. თითოეული ლამის წარმოუდგენელ, მანამდე არნახულ შეცოდებად შეიძლება ჩათვლილიყო და ცალკე მოთხრობის თემადაც ქცეულიყო. სწორედ მან დააფუძნა ლონდონში ცნობილი „ტიროლის რძის კომპანია“ თუმცა არც მწველავები ჰყოლია როდისმე, არც ძროხები, არც რამე ჭურჭელი ჰქონია და არც რძე. არადა, ათასობით მომხმარებელს აკმაყოფილებდა. უბრალოდ, ვილაცის კართან დილით დადგმულ რძიან ბიდონს აიღებდა და საკუთარი მუშტრის კარებთან გადაიტანდა. ეგ იყო და ეგ. კარგა ხანს უცნაურ და იდუმალ მიმონერას აწარმოებდა ერთ ახალგაზრდა ქალთან, ვის მთელ კორესპონდენციასაც საგულდაგულოდ ამონმებდნენ, მაგრამ გასაოცარი ოინი მოიფიქრა – თავის წერილებს მიკროსკოპის ფირფიტის მეშვეობით უმცირესი ზომის ფოტოებს უღებდა და ისე უგზავნიდა. თუმცა მისი ეშმაკობების უმეტესობა მაინც გამაოგნებელი სიმარტივით გამოირჩეოდა. ამბობდნენ, ერთხელ, შუალამისას მთელ ქუჩაზე ყველა სახლს შეუცვალა ნომრები მხოლოდ იმიტომ, მავანი გამვლელი ხაფანგში რომ გაება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, სწო-

რედ მან მოიგონა გადასატანი საფოსტო ყუთი, რომელსაც სადმე, წყნარი გარეუბნის კუთხეში დადგამდა ხოლმე იმის იმედით, ვინმე შიგ ამანათს ან საფოსტო გადარიცხვას ჩაუშვებსო. და ბოლოს საოცარი აკრობატის სახელითაც იყო ცნობილი, ზორბა ტანის მიუხედავად კალიასავით შეეძლო ხტომა და ხეებზეც მაიმუნივით დაძვრებოდა. ამიტომაც, როცა დიდი ვალანტენი კვალში ჩაუდგა, თავადაც მშვენივრად ხვდებოდა, რომ მისი თავსატეხი ფლამბოს მხოლოდ პოვნით ნამდვილად არ დამთავრდებოდა.

არადა, პოვნითაც, როგორ გინდოდა, გეპოვა? სწორედ ამას ფიქრობდა დიდი ვალანტენი და საბოლოო აზრამდე ჯერაც ვერ მისულიყო.

შენიღბვის გასაოცარი ნიჭის მიუხედავად, ერთ რამეს ფლამბო მაინც ვერ მოახერხებდა, საკუთარ სიმაღლეს ვერ დამალავდა. თუკი ვალანტენის მახვილი თვალი სადმე მაღალ-მაღალ ვაშლის გამყიდველ ქალს შეამჩნევდა, ზორბა გრენადერს ან თუნდაც მეტ-ნაკლებად მაღალი ტანის ჰერცოგის მეუღლეს, იქვე, დაუფიქრებლად დააკავებდა ნებისმიერს, მაგრამ მგზავრობისას ვერავინ შეამჩნია ისეთი, ვინც შენიღბული ფლამბო შეიძლება ყოფილიყო. მას ისევე არ ჰგავდა არავინ, როგორც კატა არ ჰგავს ჟირაფს. ჯერ გემზე შეისწავლა ყველა გულდასმით და საეჭვო ვერავინ შეამჩნია. მერე, ჰარვიჩიდან მატარებლით რომ გააგრძელა გზა, იქ სულ ექვსიოდე თანამგზავრი გამოუჩნდა – თავიდან ვაგონში მხოლოდ ერთი ტანდაბალი რკინიგზელი დაუხვდა, რომელიც დედაქალაქში მიემგზავრებოდა; მერე, ორი სადგურის შემდეგ, კიდევ სამი ბოსტნეულით მოვაჭრე ამოვიდა და სიმაღლით აშკარად ვერ დაიკვეხნიდა ვერცერთი; ესექსის პატარა ქალაქში მათ ტანმორჩილი ქვრივი ქალბატონი დაემატა და კიდევ მავანი